ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია

29.04 .2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com
www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №10

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების 2020 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, I-პუნქტის, ,,გ.ა" ქვეპუნქტის, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 22 ნოემბრის №24 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის, მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ცნობად იქნას მიღებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების ანგარიში 2020 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში თანახმად დანართი **№ -1-2 სა** (ანგარიში თან ერთვის).

2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე;

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

დანართი-1

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების 2020 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

15.02.2021 წელი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 2020 წლის ანგარიში მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების შემადგენლობაში 24 საბავშვო ბაგა -ბაღია, რეგისტრირებულია 515 აღსაზრდელi. ფინანსები: 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 1320000 ლარს, რასაც დაემატა 2019 წლის ბიუჯეტის ნაშთი 92800 ლარი და მიმდინარე ბიუჯეტი შეადგნს 1412800 ლარს. აქედან: სახელფასო ფონდი 810713 ლარია, ბავშვთა კვებისთვის გამოყოფილია 258300 ლარი (კვების გეგმიური თანხა გათვლილია ბავშვთა ფაქტიური დასწრების საშუალო რაოდენობაზე). 1 ბავშვზე კვების გეგმიური ხარჯი დღეში 4 ლარია. 2019 წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 284171 ლარით. ქვეყანაში ახალი კორონა ვირუსის გავრცელებით გამოწვეული შეზღუდვების გამო 2020 წელს პერიოდულად შეჩერებული იყო აბავშვო ბაგა-ბაღების ფუნქციონირება, რამაც გამოიწვია ცვლილებები ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებულ ხარჯვაში. 2020 წელს გახარჯულია 1153683 ლარი: .ხელფასი 75527 ლარი მივლინება 994 ლარი ელექტროენერგიის ხარჯი 11915 ლარი .წყლის ხარჯი 18123 ლარი მობილური კომუნიკაციის ხარჯი 2969.50ლარი ინტერნეტმომსახურება 568 ლარი შუშის ხარჯი 39102 ლარი ელე.ქტრო საქონლის შეძენა 19090 ლარი ავეჯი 13540 ლარი საბეჭდი ქაღალდი 713 .50 ლარი მცირეფასიანი მასალები 17336 ლარი პოლიეთილენის პარკები კვების პროდუქტებისათვის 2168 ლარი საკანცელარიო ნივთები 5527.50 ლარი კვების პროდუქტები შეძენა 137069.80 ლარი (2020 წლისთვის 1 იანვრისთვის კვების პროდუქტების ნაშთი შეადგენდა 15662 ლარს). პირადი ჰიგიენის ხარჯი 15670.50 ლარი სადეზინფექციო სითხის შეძენის ხარჯი 9411.50 ლარი საწვავი(ბენზინი და დიზელი) 6012 ლარი სარემონტო სამუშაოები 24812 ლარი მაცივრების და ელექტრო ღუმელების შესყიდვა 26750 ლარი სოც. დახმარება(ბიულეტენი) 559.03 ლარი საინჟინრო მომსახურებები 1873 ლარი სატენდერო მომსახურებები 1050 ლარი საკონსულტაციო ხარჯი 4800 ლარი საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურება 600 ლარი კომპიუტერის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება 757.50ლარი ჯარიმები (ტურსათის სააგენტოს მიერ საბავშვო ბაღებში ინფრასტრუქტურის გამო) 1000 ლარი კადრების დამზადების ხარჯი 480ლარი პრინტერების შეკეთება 1015 ლარი იჯარა და ბინის ქირები 17033.15 ლარი მეთოდური ლიტერატურის შეძენა 4934 ლარი. წყლის ლაბორატორიული შემოწმება 2730 ლარი რბილი ავეჯის (საბანი, ლეიბი, თეთრეული) შეძენა 3561 ლარი სამზარეულოს ინვენტარი 4336 ლარი დისპენსერები და პირბადეები 947.59 ლარი უნიფორმები 350 ლარი სახელშეკრულებო-----3440 ლარი. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ეტაპობრივად გადაეცათ კვების პროდუქტები თანხით 115765 ლარი. სულ გაერთიანების ბიუჯეტიდან გახარჯულია 1153683 ლარი, ბიუჯეტის ნაშთი შეადგენს 259117 ლარს. სასწავლო- სააღმზრდელო პროცესი: საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტანდარტების იმპლემენტაციის მიზნით,გაერთიანების მეთოდისტები ყოველწლიურად მუშაობენ ახალი მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების მესტიის სკოლამდელ დაწესებულებებში განსახორციელებლად,.კერძოდ,ატარებენ ტრენინგებს და გასცემენ შესაბამისი რეკომენდაციების პაკეტებს. პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციის გამო,იმისათვის,რომ გაგრძელებულიყო ბავშვის განვითარების ხელშეწყობა სახლის გარემოში,შევთავაზეთ აღმზრდელებს და მშობლებს განმავითარებელი სხვადასხვა აქტივობები,თამაშები,შესაბამისი მხატვრული თუ მეთოდური ლიტერატურა;ასევე ჯანდაცვის ორგანიზაციების, განათლების სამინისტროს და გაეროს ბავშვთა ორგანიზაციის მიერ მოწოდებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები. სასკოლო მზაობის ცენტრის აღმზრდელები ონლაინ ჯგუფის მეშვეობით,მშობლებს პერიდულად მიაწოდებენ საგანმანათლებლო რესურსებს და უწევენ მეთოდურ დახმარებას. 2020 წლის14 სექტემბერს ჩატარდა 1-დღიანი სწავლება- სემინარი, საბავშვო ბაღების გამგეთათვის. მონაწილეებს ჩაუტარდათ სწავლება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტის,პანდემიის პირობებში

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის,სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების(სასკოლო მზაობის პროგრამის მიხედვით), ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით :კვების ორგანიზებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საკითხებზე. ასევე, მათ გადაეცათ სხვადასხვა სარეკომენდაციო დოკუმენტები, შინაგანაწესი. ბავშვთა უფლებების დაცვის კოდექსი,ინდივიდუალური და კომპლექსური გეგმების ნიმუშები, ადგილობრივი წითელი ჯვრის ორგანიზაციის მიერ მოწოდებული სხვადასხვა შინაარსის ბუკლეტები კორონავირუსის შესახებ. 2020 წლის 21 სექტემბერს ტრენინგი ჩაუტარდათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელებს და აღმზრდელების თანაშემწეებს.ესწრებოდა 55 თანამშრომელი. ტრენინგზე გამოყენებული იყო მასალები შემდეგი დოკუმენტებიდან:1)სასკოლო მზაობის სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი,2)ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის . კულტურულ ცენტრ „თანადგომის"ბიბლიოთეკამ,რომელთა წარმომადგენლებმა ჩვენი საბავშვო ბაღების აღმზრდელებს დისტანციურად ჩაუტარეს ტრენინგები ახა ლი,დამხმარე სასწავლო პროგრამის „ნეიროპლასტიკურობა და განათლება"2020-ს ფარგლებში.მათი ტრენერების მიერ ჩატარდა ასევე პრაქტიკული აქტივობები 1-საბავშვო ბაღის შენობაში.(ესწრებოდა19 აღმზრდელი) ყველა საბავშვო ბაგა-ბაღი მომარაგდა ახალი რეგულაციების შესაბამისი სადეზინფექციო და პირადინ ჰიგიენის საშუალებებით, საოჯახო ტექნიკითა და ელექტრო საქონლით. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები ლახამულის, მესტიის#1 და ბეჩოს საბავშვო ბაღებში. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ რეგისტრაციის გავლა შეძლო 15 საბავშვო ბაღმა. პრობლემები: იფარის საბავშვო ბაღს არ აქვს შენობა, ლახამის, ცხუმარის, მაზერისა და ჭოლაშის საბ. ბაღები ნაქირავებ ფართშია, რომელიც არ შეესაბამება ახალი რეგულაციებით შემოღებულ სტანდარტებს.უშხვანარისა და უშგულის საბავშვო ბაღებს არ მიეწოდებთ წყალი. წვირმის საბავშვო ბაღი არ დარეგისტრირდა ფართის სიმცირის გამო. სარეაბილიტაციოა ლენჯერის, ეცერის, ნაკრის საბავშვო ბაღების გათბობის სისტემები. პრობლემების გადაჭრის გზები: მიმდინარეობს მუშაობა იფარის, ეცერის, ლენჯერის, ლახამის, მაზერისა და ჭოლაშის საბავშვო ბაღების მომზადებაზე. ლატალსა და ცხუმარში ველოდებით ახალ შენობებს. შესაჩერებელია უშხვანარისა და უშგულის საბავშვო ბაღების მუშაობა, აღნიშნულ დაწესებულებებს უკვე მეორე წელია სასმელი წყალი არ მიეწოდება და ვერ გამოინახა წყლის მიწოდების წყარო. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის 1 მარტისთვის დაგეგმილია სამუშაო პროცესის განახლება 17 საბავშვო ბაღში, ესენია: ნაკრის, ჭუბერის, ლახამულის, ყარ-სგურიშის, ლენჯერის. იდლიანის,.მესტიის#1, მესტიის#2, მესტიის ბაგა, ფარის,ლახამულის, ყარ-სგურიშის,იდლიანის, ბეჩოს, მულახის (მუჟალი), ხაიშის, მულახი(ჭოლაშის), ლახამის, მესტიის სასკოლო მზაობის ცენტრის. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი, მაია ხერგიანი